

საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
N 561 1996 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის
კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1996 წელს სოციალური
დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობამ აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამჟამადაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან მხოლოდ ამ ხეობაში აჟარასა და მის გამგებლობაში შემავალ 18 დასახლებულ პუნქტზე ვრცელდება საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქცია. ხეობის მკვიდრი მოსახლეობისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა სადღეისოდ შეადგენს 630-მდე ოჯახს (3100 კაცს). საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დირექტივებისა და სამთავრობო გადაწყვეტილებებში მთავარი ყურადღება ეთმობა კოდორის მოსახლეობის დაცვასა და აქ საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქციის გაძლიერებას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 აგვისტოს N 319 ბრძანებულების თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მთავრობის, გულრიფშის რაიონის და ხეობის რეგიონალურმა გამგებამ განახორციელეს ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაწევის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ სოციალურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 1995 წელს გამოყოფილი 310 მილიარდი კუპონიდან ხეობაში შეტანილ იქნა 117 მილიარდი კუპონის ღირებულების მატერიალური ფასეულობანი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საჭიროებს სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელებას. ხეობასთან დამაკავშირებელი ჭუბერ - ხეობის გზის მონაკვეთი ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს, ხეობაში არსებული სასწრაფო დახმარებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებს სჭირდება გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოები, ზამთრის სეზონისათვის ხეობის მოსახლეობისათვის უნდა შეიქმნას სურსათ-სანოვაგის, საწვავისა და პირველი მოხმარების სხვა საქონლის მარაგი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1996 წელს სოციალური დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით:

1. საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ზ. ჭანკოტაძე) მიიღოს ზომები კვირაში ერთხელ შვეულფრენის ქუთაისი-აჭარის მიმართულებით რეისის დასანიშნავად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად ორ კვირაში განიხილოს და გადაწყვიტოს კოდორის ხეობისათვის სამი ერთეული ყველგანმავალი სამხიდიანი სატვირთო ავტომანქანის შეძენის საკითხი.

3. საქართველოს სახელმწიფო კონცერნ "საქავტოგზამ" (ბ. სალარიძე) მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს აღდგენით სამუშაოთა შესრულება ჭუბერ-სენაკის საავტომობილო გზაზე, რისთვისაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კონცერნ "საქავტოგზას" გამოუყოს 100 ათასი ლარი საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

4. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ფ. ინჯია) ორ კვირაში გადაწყვიტოს თბილისიდან სოფელ აჭარამდე საიმედო სატელეფონო კავშირის აღდგენა, საამისოდ სატელიტური აპარატურის შეძენა და გამართვა;

- ძირეულად გააუმჯობესოს საფოსტო გზავნილებათა, ხეობის სოფლებისათვის მიწოდება.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია) უზრუნველყოს საუბნო საავადმყოფოების, სკოლებისა და გამგეობების ადმინისტრაციულ შენობათა აღდგენითი სამუშაოები საქართველოს 1996 წლის ბიუჯეტით აღდგენითი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან 350 ათასი ლარის ფარგლებში, რისთვისაც ფინანსთა სამინისტრომ მიიღოს სასწრაფო ზომები აღნიშნული თანხის ოპერატიულად გამოყოფისათვის N 1 დანართის მიხედვით.

6. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან (ჯ. ჯანელიძე) ერთად უზრუნველყოს არსებული სკოლები სასწავლო ლიტერატურითა და სწავლების პროცესისათვის საჭირო საკანცელარიო და სხვა საშუალებებით.

7. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) უზრუნველყოს სტომატოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირება სათანადო მოწყობილობის შეტანით, ხეობის მოსახლეობის საჭირო მედიკამენტებით მომარაგება.

8. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ (დ. ზუბიტაშვილი) ერთ თვეში განიხილოს აჭარის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენის საკითხი და წარმოადგინოს წინადადებანი.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათით, საწვავითა და პირველი საჭიროების საგნებით მომარაგების მიზნით ზამთრის სეზონის დაწყებამდე ხეობაში ნაწილ-ნაწილ შესატანად გამოუყოს თანხა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს N 2 დანართის მიხედვით. 10. ცეკავშირის გამგეობამ (გ. ქათამაძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობასთან (ა. ცქვიტარია) ერთად

გამოყოს ზუგდიდში ერთი სავაჭრო ობიექტი ხეობის მოსახლეობის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის მიზნით.

11. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების განაწილების საკოორდინაციო ბიურომ (გ. ყუბანეიშვილი) შემოსული ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას აუცილებლად გაითვალისწინოს კოდორის ხეობის მცხოვრებთა, განსაკუთრებით ბავშვთა საჭიროებანი.

12. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ:

- საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 17 აგვისტოს N 319 ბრძანებულების მიხედვით გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი 164 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტიდან ორ კვირაში გადარიცხოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ ანგარიშზე;

- დასახულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადაწყვიტოს დამატებით საჭირო თანხების გამოძებნისა და გამოყოფის საკითხები.

13. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (ვ. ნადიბაიძე) ერთ თვეში კოდორის ხეობის მოსახლეობას აუნაზღაუროს 1993-1994 წლებში წინასწარი გადახდის გარეშე შექმნილი პროდუქტების ღირებულება.

14. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

- უზრუნველყოს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, გულრიფშის რაიონის გამგეობის (ვ. ნაჭყებია) და კოდორის ხეობის რეგიონალური გამგეობის (რ. კორძაია) მუშაობის ძირეული გარდაქმნა ხეობის სოფლების მოსახლეობის სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტად.

15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ (თ. ნადარეიშვილი) და მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს სათანადო იდეოლოგიური, საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობა ხეობის მოსახლეობაში; გამოიყენონ ადგილობრივი მოსახლეობის პოტენციური სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად, დღევანდელი შესაფერისი ტრადიციების აღსადგენად და განსამტკიცებლად.

16. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ზ.შენგელიას. რომლებმაც საქართველოს მთავრობას მიმდინარე წლის ოქტომბერში მოახსენონ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა.

ე. შევარდნაძე